საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 22 2020 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. თურნავასთვის „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ნათელა თურნავას მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გ. გახარიასთვის „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის

უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" საქართველოს პრემიერ-მინიტრის 2017 წლის 30 ივნისის №190 ბრძანება.

გიორგი გახარია